

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„კრაფტსიტი“

ფინანსური ანგარიშგება

2025 წ.

მომზადებულია კომპანიის მენეჯმენტის მიერ

შპს „კრაფტსიტი“ (ს/ნ 405474311)
ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა ადასტურებს, რომ პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე. ვაცხადებთ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასახავს შპს „კრაფტსიტი“ ფინანსურ მდგომარეობას, წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;

- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;

- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;

- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;

- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და

- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და გამოსაცემად ნებადართულია 2025 წლის 31 აგვისტოს კომპანიის მენეჯმენტის მიერ.

შპს „კრაფტსიტი“

დირექტორი: / ირაკლი ჩხარტიშვილი/

2025 წ. 31 აგვისტო

თბილისი, საქართველო

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	127433	67326	61687
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	87701	512218	73908
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	803450	0	2433
მარაგები	185467	122383	104103
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	185467	122383	104103
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	1785500	1950193	1876978
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	2989551	2652120	2119109
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	161614	245286	143536
ანარიცხები	0	0	5961
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	40320	22337	56068
საგადასახადო ვალდებულებები	127758	277395	170472
გამოწმებული შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	592822	823678	380309
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	657566	398481	985989
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	1580080	1767177	1742335
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში - 'კაპიტალი')	449304	557704	478059
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	960167	327239	-101285
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1409471	884943	376774
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2989551	2652120	2119109
სულ მოკლევადიანი აქტივები	428986	701927	242131
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	922514	1368696	756346
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები	0	0	0

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	9715304	8305264
საქონლის გაყიდვიდან	116086	0
მომსახურების გაწევიდან	9574812	8260025
სამშენებლო ხელშეკრულებიდან	0	0
სხვა	24406	45239
გაყიდვების თვითღირებულება	-3520161	-3158219
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	6195143	5147045
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-3052944	-2462152
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-342940	-311890
საპროცენტო შემოსავალი	64549	0
საპროცენტო ხარჯი	-113509	-94042
იჯარის ხარჯი	-381596	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1699732	-1817093
სულ საოპერაციო ხარჯები	-5526172	-4685177
საოპერაციო მოგება	668971	461868
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით გაჭრობიდან და სავალუტო	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-16990	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციები	651981	461868
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	651981	461868
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რ	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	651981	461868
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	884943	376774
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატი	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-19053	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-108400	46301
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1409471	884943

ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა -განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „კრაფტსიტი“ - რესტორანი „2 ტონა“ 2022 წელს დაარსდა, სწორედ მაშინ, როდესაც ქართულ ბაზარზე ამის მოთხოვნა გაჩნდა. იგი დედაქალაქის ცენტრალურ უბებშია განლაგებული, საბურთალოს და სოლოლაკის ტერიტორიაზე. „2 ტონა“-ს ძირითადი კონცეფციაა პრემიუმ ხარისხის ადგილზე მოხარშული კრაფტ ლუდის ფართო ასორტიმენტი და ქართული მიმდინარეობის სამზარეულო. ლუდის სფეროში ლიდერობას განაპირობებს მაღალი ხარისხის გერმანული დანადგარების და ნედლეულის გამოყენება, ხოლო რესტორნების მიმართულებით ძირითადი ორიენტირი გაკეთებულია ცოცხალი, გაუყინავი პროდუქციის ბაზაზე შექმნილი ქართული ტრადიციულისა და შედარებით ახლებული „პაბური“ სტილის მენიუს მიქსი.

2. შედგენის საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 მომზადების ძირითადი საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფაასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწაროს პრინციპის დაშვებით- ანუ იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში, შესაბამისად მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

2.2 საანგარიშგებო პერიოდი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.3 წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.4 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული კომპანიის სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

2.5 მარაგები

მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურება, რისთვისაც მატერიალური ფასეულობების ერთეულის საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. შედეგი აისახება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

2.6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა მიმდინარე მოთხოვნებს მომსახურებიდან და მიწოდებიდან, წინასწარ გადახდილი გადასახადების და წინასწარ გაწეული ხარჯების გარდა. სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების დანაკარგი. დებიტორული დავალიანების გაუფასურების დანაკარგი ჩამოყალიბებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის შეგროვებას მისაღები მოთხოვნების მიხედვით. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირდაპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

2.7 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე წრფივი მეთოდის გამოყენებით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილი კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზირება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც 5 წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ძირითადი საშუალებების და მატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს ხომ არ მოხდა ზემო არნიშნულის გაუფასურება. არსებულის შემთხვევაში შეფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შედარდება მის საბალანსო ღირებულებას. შედეგი დაუყოვნებლივ აღიარდება მიმდინარე მოგება-ზარალში.

2.8 ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებების პირველადი აღიარება ხდება სესხის რეალური ღირებულებით. საპროცენტო ხარჯები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დანახარჯები მიეკუთვნება და პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის შექმნასთან, შეძენასთან ან წარმოებასთან. ამ შემთხვევაში ეს დანახარჯები კაპიტალიზირდება განსაკუთრებული აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხებათ. საანგარიშო პერიოდი ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობა აისახება სხვა შემოსავლებში ან ხარჯებში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კვალიფიცირდება მაშინ როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელო

ხელფასები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

თანამშრომელ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას გააჩნია ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დასაქმებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადებისა და გადავადებული გადასახადების ჯამი.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას. გადავადებული გადასახადი აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და მათ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის სხვაობასთან(ე.წ. დროებითი სხვაობა) მიმართებით. ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია რომ მომავალში გაზრდის საგადასახადო მოგებას, აღიარდება გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებად. გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია რომ მომავალში შეამცირებს საგადასახადო მოგებას, ასევე ყველა გამოუყენებელ საგადასახადო ზარალთან ან გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტთან მიმართებით. გადავადებული საგადასახადო აქტივების შეფასება ხდება მაქსიმალური შესაძლო თანხით, რომლის აღდგენაც უფრო მოსალოდნელია ვიდრე არა, მიმდინარე საგადასახადო მოგებისა თუ შეფასებული მომავალი საგადასახადო მოგების საფუძველზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის და მისი კორექტირება ხდება მომავალში საგადასახადო მოგების მიმდინარე შეფასების მიზნით. ნებისმიერი კორექტირების თანხა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.9 შემოსავლები და ხარჯები

შემოსავლების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ, როდესაც მყიდველს მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავლებსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	2024	2023	2022
ფულადი სახსრები სალაროში	12377	20023	18643
ფულადი სახსრები ბანკში	115056	47303	43044

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	2024	2023	2022
ნედლეული და მასალები	185467	122383	104103
სხვა მატერიალური მარაგები	-	-	-

ძირითადი საშუალებები

	2024	2023	2022
მანქანა დანადგარები	412656	1950193	1876978
ოფისის აღჭურვილობა	473870	-	-
ავიჯი და სხვა ინვენტარი	235933	-	-
სატრანსპორტო საშუალება	68390	-	-
იჯარით არებული ფართის კეთილმოწყობა	594650	-	-

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები	87701	72082	73908
გადახდილი ავანსები	28385	48970	2433
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	775065	391046	-
პერსონალზე გაცემული ავანსები	-	120	-

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024	2023	2022
სავაჭრო ვალდებულებები	161613	245286	143536
საიჯარო ვალდებულებები	-	-	-
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	40320	22337	56068
საგადასახადო ვალდებულებები	127758	277395	170472
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	592822	1222159	386270
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	657566	-	985988

შემოსავლები

	2024	2023
საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	116086	-
მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი	9574812	8305264
საპროცენტო შემოსავალი	64549	-
სხვა შემოსავალი	24406	-

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ხარჯის დასახელება	2024	2023
რეკლამის ხარჯები	64819	19926
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	118054	120802
მიწოდების სხვა ხარჯები	480338	375639
სოციალური დანარიცხები	59263	47882
საოფისე ინვენტარი	7239	8736
კომუნიკაციის ხარჯები	33400	26748
კომუნალური ხარჯები	309313	286534
მივლინების ხარჯი	5640	12413
რემონტი	130744	111460
კომპიუტერის ხარჯები	10066	6305
საკონსულტაციო ხარჯები	50766	34731
სხვა საგადასახადო ხარჯი	47811	34288
საბანკო მომსახურება	122150	111861
სხვა საერთო ხარჯი	260180	247472

კაპიტალი

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2022 წ. 31 დეკემბრი	478059	-101285	376774
სააქციო კაპიტალის ცვლილება	79645	-	79645
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-33344	-33344
დივიდენდები	-	-	-
სულ მოცემული წლის სრული შემოსავალი		461868	461868
გადატანა გაუნაწილებელ მოგებაში	-	-	-
ნაშთი 2023 წ. 31 დეკემბრი	557704	327239	884943
სააქციო კაპიტალის ცვლილება	-108400	-	-108400
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-19053	-19053
დივიდენდები	-	-	-
სულ მოცემული წლის სრული შემოსავალი	-	651981	651981
გადატანა გაუნაწილებელ მოგებაში	-	-	-
ნაშთი 2024 წ. 31 დეკემბრი	449304	960167	1409472

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდში მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც შეიძლება იწვევდეს ფინანსური ანგარიშგების მუხლების შესწორებას ან განმარტებითი შენიშვნების დამატებას, ადგილი არ ჰქონია.